



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიოლოგიის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:  
ბიოქიმია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:  
საბუნებისმეტყველო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მაგისტრი ბიოქიმიაში

პროგრამის მოცულობა:  
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი: ალექ ჩუბინიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 8(231) 2-81-21

ქუთაისი  
2008

## სამაგისტრო პროგრამის დახასიათება

### \* სამაგისტრო პროგრამის მიზანი და ამოცანები:

მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტი — მკვლევარი ბიოქიმიურ მეცნიერებათა ღრმა ცოდნით, რომელიც შეძლებს კვლევითი სამუშაოს დაგეგმარებას, ექსპერიმენტის ჩატარებას, სათანადო ბიოქიმიური მეთოდების გამოყენებით ბიოქიმიკოსის კვალიფიციური შესაძლებლობიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული ფლობდეს შეფასებებისა და დასკვნების გაკეთებისა და რეკომენდაციების გაცემის შესაძლებლობებს.

ათვისებული ჰქონდეს პრაქტიკული პედაგოგიკის უნარ-ჩვევები, რომელიც შესაბამისობაშია უმაღლესი სკოლის მოთხოვნასთან.

### \* მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას შემდეგ საგნებში: მოლეკულური ბიოლოგია, ეკოლოგიური ბიოქიმია, მოლეკულური ფარმაკოლოგია, ნეიროქიმია, მემბრანოლოგია, იმუნოლოგია, ფერმენტოლოგია, რადიობიოლოგია, თანამედროვე ქიმიისა და ბიოლოგიის აქტუალური საკითხები.

### \* დასაქმების სფერო

- ბიოლოგიური და ბიოქიმიური პროფილის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები;
- სადიაგნოსტიკო ლაბორატორიები;
- გარემოს დაცვის მართვისა და ეკოლოგიური ზედამხედველობის შესაბამისი სამსახურები;

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	მოდული	№	სასწავლო დისციპლინის დასახელება	სასწავლო კურსის ტიპი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება სემესტრებში			
						I	II	III	IV
1	სტატიკური და დინამიკური ბიოქიმია	1	მოლეკულური ბიოლოგია	სავალდებულო	5	5			
		2	მემბრანოლოგია	“___”	5			5	
		3	რადიობიოლოგია	“___”	5			5	
		4	ლიპიდები	“___”	5			5	
		5	იმუნოლოგია	“___”	5			5	
		6	ფერმენტოლოგია	“___”	10				10
		7	ნეიროქიმია	“___”	10		10		
2	ბიოქიმიის მომიჯნავე დისციპლინები	8	ეკოლოგიური ბიოქიმია	“___”	5	5			
		9	მოლეკულური ფარმაკოლოგია	“___”	5	5			
		10	ბიოქიმიის სწავლ. მეთოდика	“___”	5	5			
		11	უცხო ენა (ინგლ. ენა სპეც.თარგმა-ნებით \ ლათ.ენა)	“___”	5	5			
		12	თანამედროვე ბიოლოგიის აქტუალური საკითხები	“___”	5			5	
3	კვლევის მეთოდები ბიოქიმიაში	13	ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები ბიოქიმიაში	“___”	5		5		
			საკურსო ნაშრომი		5		5		
			პროფესიული პრაქტიკა	“___”	5			5	
			სამაგისტრო დისერტაცია		30				30
			ბუნებისმეტყველების ფილოსოფია	“___”	5		5		
	სულ				120	25	35	30	30

## სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.